თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 12 მარტის შერეული ფორმატით სხდომის

ო ქ მ ი N 2

2021 წლის 12 მარტს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა შერეული ფორმატით. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ელდარ ბუბულაშვილი;** დისტანციურად ჩაერთვნენ: **მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, ლევან გორდეზიანი, ავთანდილ სონღულაშვილი, ლიანა ბითაძე, დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, გიორგი ქავთარაძე** (დანართი 1); ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე)**;** ბიბლიოთეკის გამგე **შალვა გლოველი** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. ინსტიტუტის თანამშრომელთათვის კვირაში მინიმალური სამუშაო დროის განსაზღვრა.
2. „საინსტიტუტო საუბრების“ ჩატარების განრიგი 2021 წელს.
3. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

***1.* ინსტიტუტის თანამშრომელთათვის კვირაში მინიმალური სამუშაო დროის განსაზღვრა.**

გიორგი ჭეიშვილი: როგორც თქვენთვის ცნობილია, თსუ-დან შემოვიდა წერილი, რომლის თანახმადაც დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულის მიერ ნამუშევარი დრო და ნამუშევარი საათების აღმნიშვნელი დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა და მისი წარმოების წესი, რომელიც მიმდინარე წლის 1 მარტიდან ამოქმედდა. მინდა აღვნიშნო, რომ ფორმის ობიექტურ შევსებაზე პასუხისმგებელია თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი, მის მიერ გამოყოფილი პასუხისნგებელი პირი და ინსტიტუტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ასევე: დამსაქმებელი ვალდებულია აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი ინდივიდუალურად გააცნოს დასაქმებულს.

ლავრენტი ჯანიაშვილი: უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულ მეცნიერთა შრომის ანაზღაურების დღეს არსებული წესი და „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი („დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, <u>გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია</u>“), იძლევა საფუძველს, რომ მეცნიერის შრომა განვიხილოთ როგორც სპეციფიკური სამუშაო და დავაფიქსიროთ შემდეგი პოზიცია:

<u>მეცნიერის</u> შრომა მრავალმხრივია და სპეციფიკურ საქმიანობათა კატეგორიას განეკუთვნება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ნორმირებულ საათობრივ ჭრილში დარეგულირება პირობითია, რადგან მეცნიერი საგანგებოდ განსაზღვრულ, ნორმირებულ საათობრივ რაოდენობაზე ბევრად მეტ დროს ანდომებს სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო ანაზღაურება ეძლევა დაკვეთილი სამუშაოს მიხედვით და არა შრომის ნორმირებული ან ზეგანაკვეთური საათობრივი ოდენობის შესაბამისად.

მეცნიერის სამუშაო დრო (რაც ხმარდება სამეცნიერო კვლევას, ნაშრომის შქმნას...) მოიცავს მის მიერ სამსახურში (ინსტიტუტის შენობაში) გატარებულ საათებს (რაც საერთო სამუშაო დროის მხოლოდ ნაწილია), ასევე ბიბლიოთეკებში, არქივებში, მივლინებებში, ექსპედიციებში, სხვა სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრებში და ა. შ. მუშაობის პერიოდსაც; სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით, არანაკლებ ეფექტურია ის სამუშაო, რომელსაც ეთნოლოგი, წყაროთმცოდნე, პალეოგრაფი, არქეოლოგი და ა. შ. ველზე ასრულებს მუშაობისას; მცდელობა, დარეგულირდეს მეცნიერის სამუშაოს საათობრივი ნორმირებული განაკვეთი, უნდა ასახავდეს და ითვალისწინებდეს მისი შრომის სპეციფიკას მთლიანობაში. შეაბამისად, სატაბელო პრინციპით მეცნიერის შრომის ნორმირებული საათობრივი განაკვეთი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მისი ინსტიტუტში ყოფნის პერიოდი და არა სრული სამუშაო საათები.

შალვა გლოველი: რაც შეეხება <u>არასამეცნიერო პერსონალს</u>, დამსაქმებელ-დასაქმებულის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესია როგორც იურიდიული, ასევე მორალური ასპექტები; დასაცავია როგორც ადამიანის შრომის უფლებები, ასევე ამ შრომის ღირსეული ანაზღაურების პრინცპი, რაც ინსტიტუტის პრესტიჟის საკითხიც არის. როდესაც ბიუჯეტი არ იძლევა გაწეული შრომის ადეკვატური ანაზღაურების შესაძლებლობას, მაშინ დასაქმებულს უნდა დაუწესდეს შესაბამისი შრომის ნორმირებული საათობრივი განაკვეთი. ისტორიის მიმართულების სამეცნიერო ინსტიტუტის ფუნქციონირება წარმოუდგენელია პროფილური ბიბლიოთეკისა და არქივის გარეშე. ამ სტრუქტურების გამართული ფუნქციონირება კი, დამოკიდებულია

როგორც შესაბამისი ფონდების არსებობაზე, ასევე მათი პერსონალის მომსახურეობის ხარისხზეც, რაც თანამშრომლების შრომის სათანადო ანაზღაურებას მოითხოვს. ამჟამინდელი მდგომარეობით, ხსენებული სტრუქტურების თანამშრომლების ხელფასები რამდენჯერმე ჩამორჩება უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა ანაზღაურებას. აქედან, გამომდინარე ბიბლიოთეკასა და არქივში დასაქმებულებს უნდა მიეცეს შეღავათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობის შესაძლებლობა, ისე რომ არ შეფერხდეს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ავთანდილ სონღულაშვილმა და სხვებმა.

გამოითქვა მოსაზრებები სამუშაო დღის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით: ინსტიტუტში, ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, ყოველდღიური სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 საათით; სამუშაო დღე დაიწყოს 11:00 სთ-ზე და დამთავრდეს 17:00 სთ-ზე;

სასურველია, პარასკევი იყოს საინსტიტუტო დღე, როცა გაიმართება შეკრება, სამეცნიერო საბჭოს სხდომები, სასემინარო მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებები, ანგარიშგება. ეს იქნება შემოქმედებითი საკომუნიკაციო დღე, ხოლო განყოფილებების შეკრებისათვის (თანამშრომელთა შეთანხმების შესაბამისად) გამოიყოს კვირის სხვა რომელიმე დღე; შესაძლოა, აგრეთვე თანამშრომელმა ინდივიდუალურად სამორიგეოდ აიღოს მისთვის სასურველი დღე; გამონაკლის შემთხვევებში კი, სამუშაო დროის ნაწილი, იმუშაოს დისტანციურად;

კვირაში 8 საათი არის ის მინიმალური დრო, რაც ყველა თანამშრომელმა უნდა გაატაროს ინსტიტუტში. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ თითოეული თანამშრომლისათვის (მათთან შეთანხმებით) შემუშავდეს მორიგეობის განრიგი, რომელიც შეთანხმებული იქნება დირექციასთან;

გიორგი ჭეიშვილი: თანამშრომლებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა და შეასრულონ შერჩეული განრიგი. როგორც უკვე აღვნიშნე, ბრძანება ძალაში შევიდა 1 მარტიდან, და ტაბელი უნივერსიტეტს უნდა ჩაბარდეს მომავალი თვის 5 რიცხვამდე. რადგან პანდემიური შეზღუდვები არ არის გაუქმებული, ჩვენ გვევალება დისტანციური მუშაობა, რაც უნდა აღვნუსხოთ დისტანციური მუშაობის გრაფაში.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვუყაროთ კენჭი ინსტიტუტის თანამშრომელთათვის კვირაში მინიმალური სამუშაო დროის განსაზღვრას (დანართი 2), რომელსაც თქვენ გაეცანით და რომლის შესახებაც ვიმსჯელეთ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 16 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

ა) - დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შემოქმედებითი სამეცნიერო საქმიანობისა და ანგარიშგებისათვის და არასამეცნიერო პერსონალის სამსახურში გამოცხადების განრიგი (მინიმალური სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში) დანართი 2-ში წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით.
ბ) - დადგენილების ა) პუნქტის შესაბამისად, ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა, ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეიმუშაონ თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების განრიგები.
გ) - დისტანციურად შესრულებული სამუშაო ჩაითვალოს სამუშაო საათებში შესრულებულად.
დ) - ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, ყოველდღიური სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 საათით; სამუშაო დღე დაიწყოს 11:00 სთ-ზე და დამთავრდეს 17:00 სთ-ზე.

მოისმინეს:

2. „საინსტიტუტო საუბრების“ ჩატარების განრიგი 2021 წელს.

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო საბჭოს წინა სხდომაზე მოგახსენეთ, რომ მიმდინარე წელს განახლდა ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი „საინსტიტუტო საუბრები.“ განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, ორო კვირის ვადაში მოგვაწოდოთ სემინარში მონაწილეობის მსურველთა გვარები და თემების სათაურები, რათა შედგეს „საინსტიტუტო საუბრების“ ჩატარების განრიგი 2021 წელს. გარდა ინსტიტუტის თანამშრომლებისა, შესაძლებელია სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე მეცნიერებმაც მიიღონ მონაწილეობა სემინარში და საინტერესო თემები წარმოადგინონ. პანდემიიდან გამომდინარე, სემინარები ჯერ ზუმის ფორმატით ჩატარდება, რეგულაციების შემსუბუქების შენდეგ კი, ინსტიტუტის შენობაში გაგრძელდება.

თუ წინადადება, რომ განყოფილებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ სასემინარო თემების სახელწოდებები და მონაწილეობის მსურველთა გვარები მისაღებია, გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 16 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: განყოფილებების ხელმძღვანელებმა, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თანამშრომელთა სასემინარო თემების სახელწოდებები და მონაწილეობის მსურველთა გვარები.

სხდომამ დაადგინა:

1. ა) - დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შემოქმედებითი სამეცნიერო საქმიანობისა და ანგარიშგებისათვის და არასამეცნიერო პერსონალის სამსახურში გამოცხადების განრიგი (მინიმალური სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში) დანართი 2-ში წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით.

   ბ) - დადგენილების ა) პუნქტის შესაბამისად, ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა, ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეიმუშაონ თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების განრიგები.

   გ) - დისტანციურად შესრულებული სამუშაო ჩაითვალოს სამუშაო საათებში შესრულებულად.

   დ) - ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, ყოველდღიური სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 საათით; სამუშაო დღე დაიწყოს 11:00 სთ-ზე და დამთავრდეს 17:00 სთ-ზე.

2. განყოფილებების ხელმძღვანელებმა, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თანამშრომელთა სასემინარო თემების სახელწოდებები და მონაწილეობის მსურველთა გვარები.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

12. 03. 2021

№2 ოქმის დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 12 მარტის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- დოდო ჭუმბურიძე
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

დანართი 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შემოქმედებითი სამეცნიერო საქმიანობისა და ანგარიშგებისათვის და არასამეცნიერო პერსონალის სამსახურში გამოცხადების განრიგი (სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში) თანამდებობების მიხედვით:

N	თანამდებობა	მინიმალური სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში
1	დირექტორი	20
2	დირექტორის მოადგილე	20
3	განყოფილების/ლაბორატორიის ხელმძღვანელი	8
4	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	8
5	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	8
6	მეცნიერი თანამშრომელი	8
7	ლაბორანტი	10
8	ბიბლიოთეკის გამგე	12
9	ბიბლიოთეკარი	12
10	ოპერატორი (ბიბლიოთეკის/არქივის)	12
11	არქივზე პასუხისმგებელი პირი (სპეციალისტი)	12
12	არქივარიუსი	12
13	კადრები-კანცელარიის სპეციალისტი	20
14	საფინანსო-საბუღალტრო საქმის სპეციალისტი	15
15	ვებ-გვერდის სპეციალისტი	15
16	დამლაგებელი	10